№ 830 კვირა, 30 მაისი 1896—1899 კვირა, 30 მაისი. № 830

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურთ ქარვასლა

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმართავენ რედაქციას დილის
9 საათიდგან საღამოს 4-
"წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

ხელის-მომწერთ მოლაპარაკება ...
ერთთან შეიძლება ...

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

## ახალი წიგნი

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა იოსებ იმედაშვილის გამოცემა, № 12,

რუსეთის მგოსანი

## ა. ს. პუშკინი

მისი ცხოვრება და ლექსები
(1799—ასხსოვარი—1899)

შედგენილი ი. წინამძღვარისაგან. წიგნს დართული აქვს პუშკინის სურათი (შიგნით და ყდაზე), მოთავსებულია შიგ: ა. ს. პუშკინი, (ბიოგრაფიული წერილი), წვრილი ლექსები, მეზღვური და ოქროს თევზი. და სხ. შეიცავს 64 გვ. და ღირს 10 კაპ.

ვინც ნაღდათ იყიდის ათ წიგნზე მეტს, მანეთზედ 20 % დაეკლება. გაიგზავნება ფას-დადებითაც. ჩვენის ხარჯითაც მსურველთ მოგვწერონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ Книжная торговля I. З. Имедашвили. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, გიორგიევის ქუჩაზე. (5—4)

ტელეფონი 648. ორთქლით მომუშავე სტამბა ტელეფონი 648.

## ექვთიმე ი. ხელაძისა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე საბეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვალავი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით
ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ალფაბრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—34)

დაიბეჭდა და გაისყიდება
შ. წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელის საზოგადოების წიგნის
მაღაზიაში.

თხზულებანი

## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ზ. ა. ზერაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოვანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ა. მარშავსკი.

შულეჩნიაში არის კაბინეტი, საქირურგო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია

Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის ხამოხარხვევა თავ. გოლიცინი გუშინ საღამოზე ჩამობრძანდა რუსეთიდამ. მთავარმა გადმოიარა კავკასიის მთები.

*** ა. ს. პუშკინის მოგონების დღეს ტფილისის სათავად-აზნაურო კლუბში. მშვენივრად მორთულს სკოლის დიდს დარბაზში გუშინ 1-ლ საათზე შეიკრიბა დიდძალი ტფილისის საზოგადოება, სხვათა-შორის ჩვენი მაღალი საზოგადოების მანდილოსან და პირთა შორის ჩვენ შევნიშნეთ ლენერალ-ადიუტანტი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, ლენერალ-ლეიტენანტი თავ. ამირაჯიბი, ბატონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე და სხვ... ჩვენი მწერალნი ვინც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან ყველანი დაესწრენ, სხვათაშორის თავ. ი. ჭავჭავაძე.

მოსწავლეთა გალობამ, მუსიკის დაკვრამ და ლექსების კითხვამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. განსაკუთრებით საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს მეხუთე კლასის მოწაფეებმა ნ. ყარალაშვილმა ვიოლინზე დაკვრით, მოწაფემ მესამე კლასისამ ვლადიმერ ორჯონიკიძემ სკრიპკაზე დაკვრით. ცოცხლათ და ლაზათიანად წაიკითხეს რუსულად პუშკინის ტრაგედიიდამ „ბორის გოდუნოვი" მეხუთე კლასის მოწაფეებმა ჯავრიშვილმა და ნათაძემ. პირველმა ამას გარდა წაიკითხა ქართულადაც მშვენივრად ი. ჭავჭავაძისაგან პუშკინის ლექსის თარგმანი „წინასწარმეტყველი".

*** სათავად-აზნაურო ბანკის კრება. დანიშნულია დღეს დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1. ბანკის 1898 სამოქმედო წლის ანგარიში.
2. ბანკის 1799 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.
4. მოხსენება სასოფლო სამეურნეო თანხის შესახებ.
5. მოხსენება იმ ერთ-დროებითად შემოტანილ ფულის შესახებ, რომელიც ერთმევათ სესხის გამტანის მსურველთ დაფასებისა და გირავნობის ფურცლების მომზადების ხარჯად.
6. მოხსენება ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო და დამხმარებელ კასსის წესდების შესახებ.
7 შემწეობის აღმოჩენა ხვადა სხვა დაწესებულებისა; საზოგადოებათა და კერძო კაცებისათვის.
8. არჩევანები: გამგეობის ორის წევრისა: უგანათ. თავ. მიხეილ ალექსანდრის ძის გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა: თავ. ლევან ლევანის ძის ჩერქეზიშვილისა და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის თუმანიშვილის ნაცვლად, რომელთაც აგრეთვე ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა. კრება კანონიერი იქმნება, რამდენი წარმომადგენელიც უნდა დაესწროს (წესდების მე 91 §-ის შენიშვნა).

*** დიდი შეწირულობა. ქართლ-კახეთის წინამძღოლმა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმა შესწირა მცხეთის ტაძრის განსაახლებლად ხუთასი თუმანი.

*** ყალბი ფულები. ამბობენ, რომ ტფილისში ჩამოუტანიათ ძალიან ხელოვნურად მოჭრილი ყალბი 15 მანეთიანები.

*** ა. პუშკინის დღესასწაულობა. რედაქციას ბევრი წერილი მოსდის სხვა-და-სხვა საქართველოს ქალაქებიდამ, სადაც უდღესასწაულიათ დიდებული რუსეთის მგოსნის ასი წლის სახსოვარი. დიდი და პატარა, მოსწავლე და სამსახურის პირნი, ყველანი სიხარულით, გალობით, თაიგულებით და გვირგვინებით მიეგებებიან ამ დღეს.

*** გამოფენა-კონკურსები რუსეთის საიმპ. საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ გამართული იქნება გამოფენა-კონკურსები მეაბრეშუმეობისნა წარმოებისა და ბჟოლის (თუთის) გაშენებისა დ. ხონში, კვირას, 13 ივნის და დ. ახალსენაკში. კვირას, 20 ივნისს. კონკურსებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მეაბრეშუმეებს და სხვა დაწესებულებებს, რომელთაც უნდა გამოგზავნონ თავიანთი ნაწარმოები პარკები ორი ან სამი გირვანქამდე ნედლათ ან ერთ გირვანქამდე გამხმარი შემდეგი ადრესით:

М. Хони. представителю отдѣлаІ. Г. Кутателадзе, или директору хонской Учительской семинаріи· М. В. Мохиву; въ м. Ново-Сенаки, смотрителю Ново-сенакскаго нормальнаго Училища. г Еникидзе или Уѣздному Начальнику И. К. Кавтарадзе.

*** ჟურნალი „მოამბე“. ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბე“ № V, შემდეგის შინაარსით: I „ნავარდობა“—XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, და XIX, ნაწილი პირველი, მოთხრობა მელანიასი, (დასასრული პირველი ნაწილისა); II „გარიბალდიელები“—XVI, XVII და XVIII, ისტორიული რომანი, ვიტორიო ოტოლინისა, თარგმანი (დასასრული); III „სიკვდილი გმირისა“—ლექსი, ვაჟა-ფშაველასი; IV „დამონებულნი“—XV, XVI და XVII, რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი (გაგრძელება); V „მასხარა პამფალონი“—X, XI და XII, მოთხრობა ნ. ს. ლესკოვისა, თარგმანი ზ. ხ—ისა (გაგრძელება); VI „ომერფაშა სამეგრელოში“—II. კ. ა. ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს—სი; VII „სალიტერატურო შენიშვნები“—„კვალის“ პუბლიცისტები და ჩვენი საზოგადო საქმეები, ა ნ—ლის.; VIII „რა აზარალა ბ-ნმა კალისტრატე ჩიკვაიძემ ქუთაისის ბანკს და მის მსესხებლებს?“—ბანკის წევრისა; IX „პუშკინის ასის წლის იუბილეი“—ნინო ზურაბიშვილისა; X განცხადებანი.

*** **ახალ-სენაკი**, აბრეშუმის პარკის მსყიდველთა საყურადღებოდ: არა მგონია, რომ მთელი სამეგრელოს რომელსამე კუთხეში იმდენი აბრეშუმის პარკი იყიდებოდეს, რამდენიც ახალ-სენაკში. თითქმის ნახევარზე მეტი აბრეშუმის პარკისა სამეგრელოს დაბა-სოფლებიდან ახალ-სენაკში მოაქვთ გასასყიდლად, რადგანაც ახალ-სენაკს რკინის გზა უვლის და ყოველგვარის წაღებ-წამოღება აქედან ძალიან ადვილია, ვიდრე სხვაგან. ამიტომ ერთის თუ ორის დღის სავალიდან აქ მოაქვთ აბრეშუმის პარკი თუ სხვა სოფლელი გასასყიდლად. იმ იმედით, რომ ახალ სენაკში კარგ ფასად გაიყიდებათ. ამიტომ საჭიროდ ვრაცხ იმ პატივცემულ პირებთა საცნობელათ, რომელთაც სურვილი აქვთ აბოეშუმის პარკის ყიდვისა, მალე მობრძანდნენ ახალ-სენაკში, რადგანაც ერთის კვირის შემდეგ უკვე დაიწყება პარკის ყიდვა...

უმორჩილესად ვსთხოვთ, როგორც რუსულისა, აგრეთვე ქართული გაზეთების რედაქციებს ზემოხსენებული წერილი გადაბეჭდონ თავიანთ გამოცემაში, რითაც დიდად დაავალებენ მყიდველ-გამყიდველსა...

ტრიფონ კალანდარაშვილი

*** **ს. ზხეფი** (სამეგრელო). აქაურმა დღეობა-ჯარაანობამ საღამომდის გვარიანად ჩაიარა, მაგრამ ბოლოს კი გაიმართა მუშტი-კრივი. ბიჭ-ბუჭების ატეხილს ჩხუბს, მოზრდილებიც ჩაერიენ არა ერთი ორი გაიბეგვა ლაზათიანად, მაგრამ სიკვდილით არავინ არ მომკვდარა. ხალხი, წარსულ წლებთან შედარებით, ცოტა ნაკლები იყო. შეზარხოშნბულთა რიცხვი ბლომად იყო.

ჯერ-ჯერობით აქაური ყანები დაუთესელია სიმინდით, რადგანაც ამინდებიც არ იყო რიგიანი. დრო გამოშვებით აღმოსავლეთის ქარი ჰქრის და ამან მეტის-მეტად გაახმო უამისოდაც გამხმარი დედამიწა.

ჯოჯოხეთის მაშხალა.

*** **დ. აბაშა**. ბაზრის შესახებ. ზედ შუა ბაზრის გვერდზედ კანცელარიის მახლობლად ერთი უხსოვარი დროიდან ქის ორმო არის, სადაც შიგ სარები არის ჩარჭობილი და შუამდის ნაგვით არის ამოვსებული, ხოლო ეს ქა უყურადღებობის გამო მრავალ ზარალს აძლევს ბაზარს, შიგ ვარდებიან გოჭები, ბატები და თითქმის სხვილ ფეხა საქონელიც. ნუ თუ იქამდის არ ამოამსებინებს ამას ჩვენი მაჰასახლისი, სანამ თვითონ არ ჩავარდება შიგ?!.

ჰიჰინობელა.

*** **ფრონის-ხეობა** (ქართლი). აქაური აგი და კარგი. წრეულ ბედშავ და ბედ-კრულ გლეხ კაცებს გაეხსნათ ის გამონასკული ძაფი, რომელიც იყო ათას გვარ დახვლანჯული და მიგდებული ერთს ადგილას. წრეულ, ფრონის-ხეობაში, ღმერთმა მოწყალეს თვალით გადმოჰხედა და თავისი კალთა აქ ამ, პატარა ხეობაში დაიბერტყა. ისედაც დაჩაგრულმა გლეხმა, მოუსავლობით და უსაჭმელო გდებით უფრო ძალა და ღონე გამოაცალა, წრეულ კი გაეხსნათ და გადაეყარათ ის დარდები, რაც აქამდის გულს ეტოტინებოდა და სჩხვლეტდა მოუსვენრად. მოსავალი უხვად მოდის, ვენახს კარგა ასხია, ხეხილი ხომ თავს ჩამოსტირის, ერთი სიტყვით კაცს სჭრის თვალსა როცა გაივლის და დაინახავს ბუნებრივი მოქმედებით (ძალით) თუ ასე რიგათ როგორ მოეწყო, რომ ყველაფერი უხვად, მოდის. .რა, პეტრე!—არ მოსწრებიხარ ასეთ მოსავალს?—ეკითხება ალექსა.—ეე, შენი ჭირიმე, ღმერთო, ღმერთო! აგერ კაცი ვბერდები და სწორედ არ მოვწრებივარ ასეთ მოსავალს. ღმერთო, ღმერთო შენ შეიბრალე შენი გასაწყლებული შვილნი და ნურას მოკვივლენ ციდან ცუდ რამეს (სეტყვას) და დაგვიფარე. თუ ღმერთმა ინება და მოსავალს ხელი არ შეუცარა რამ, მართლაც რომ კარგი მოსავალი მოდის. ღმერთო, მოხედე, ღმერთო, მოხედე და მოწყალე თვალს ნუ მოაშორებ გასაწყლებულ გლეხებს...

ხსენებულ ფრონის ხეობაში ს. ნული კარგა მოზრდილი სოფელია შედარებით სხვებთან. ამ სოფლელებს აქვთ ერთი დანგრეული ეკკლესია ფრონის მარცხენა მხარეს მაღლა გორაზედ. ს. ნული მდებარეობს ფრონის მარჯვენა მხარესა მეორე გორაკის კალთაზე. ფრონის ხეობა დაიწყობა მდ. მტკვრიდგან, სადაც ხსენებული მდინარე ერთვის და ს. ბრეთის მახლობ და იწყობა ორთავ მხარეს, ფრონისა, გორაკა, რომელიც გაგრძელებულია ამ წყლის სათავემდის.

აქ იცის დღეობა, სამებობა, წრეულ ჩვეულებრივმა დღეობამ ჩხუბში გაიარა. ერთმა ოსმა ერთი ქართველი ხანჯლით კინაღამ დასჭრა, ქართველმა შეზარხოშებულმა ოსს თავში წაჰკრა, ოსმა ხანჯალი იძრო და დასცა მეცლისკენ, მაგრამ ბედმა არ უმტყუვნა და ჩოხაში გვერდით გავარდა ხანჯლის წვერი, მამასახლისს საჩქაროდ მიესწრო და ოსი შეიპყრო და უკრა თავი წურის სამმართველოსკენ.

აგრეთვე ს. დვანში იცის დღეობა, კოხიჯრობა, არც იქ იყო მშვიდობიანობა. ჭიდაობის დროს,
ერთმა როდესაც მეორე წამ
კიდა დასცა ძირს [illegible]
ვიდა, ერთმა თავადმა მომრ
სილო გასცხო, იმას სხვათა თავა
გამოექომაგა და იძრეს ჯერ
ვოლვერები, შემდეგ ხმლები, მა
რამ ისინიც საჩქაროდ გააშველ
კარგი იქნება, რომ დღეობა
წეს რიგი გასწიონ ხოლმე.

კ. ფრონის-პირელ

*** **სოჩა**. აფთიაქის დაარსებ
გაზ. „კვალის“ 8 და 14 №№.
მოთავსებულია წერილი ხონიდ
აფთიაქის მაღაზის გახსნის სა
როებაზე. ამ სიმპატიურ საქმ
ისეთმა გაზეთმაც კი უთანაუგრძ
როგორც „ჩერნ. ვესტნიკი“
გვიმახარობლა (!) რომ ახლო ხა
ში აფთიაქი გაიხსნება კიდეც
ჩვენდა თავად უნდა მოგახსენო
რომ ნამდვილი სატკივარის მი
ნებაა სოჩელებისაგან შეთანხმ
ბულ-შეერთებული ძალით ჩარ
ბაცაცების გამკლავება, (რომელი
გარშემო ახვევია კორესპონდენტ
სიტყვით). გამკლავება საზოგად
ების საკეთილდღეოდ. აბა რომე
ლი ერთი ჩვენგანი არ არის შ
ვიწროებული იმათგან? განა ცო
მაგალითი გვაქვს იმათი თავ-გას
ლობისა? მერე? მერე ის, რომ ის
შეგავიწროვებს, შენს დროზე საჭ
რო ნივთის ვერ შოვნა, სრულია
უვარგისი ნივთის მაჰასისხლად ყ
დვა და რა ვიცი რა არა; მეტა
ისეთ ალაგებზე, სადაც ქალა
მოშორებულია.

აი, ერთი ასეთი ალაგთაგან
სოჩა, იქ აფთიაქის გახსნა (მეტად
რე ამხანაგურის) მეტის-მეტი ს
ჭირო იყო. პატივცემულ სოჩ
საზოგადოებას ეს საჭიროება მი
გნია და ერთ ახალ-გაზრდას მ
ცადინეობით შესდგომია საქმ
დაგვირგვინებას, რისთვისაც ფულ
აგროვებენ კიდეც (იხილე „კვ
ლი“ №-14). იმედია ისეთი კეთ
ლი საიმედო კაცი და გავლენია
როგორც ბ. ბესარიონ ვახტან
ხოშტარია, ხელს შეუწყობს
კეთილ და ნორჩ საქმეს დასა
ვირგვინებლად. არა საეჭვოა, რ
ბ. ბესარიონს წამბაძველებიც გ
მოუჩნდება მათდავე საკეთილდღ
ოდ და მოგვცემს ჩვენ წასაბა
მაგალითს კეთილ საქმისა
ვუსურვებ სოჩის საზოგადოე
ამ საქმის კეთილად დაგვირგვი
ბას და მასთან სახალხო სამკ
ველოს ახლო მომავალში შეძე
საც.

ბათუმელი კაი ბიჭ

# ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია)

III *)

1820 წელს დაუდგრომელ
მოუსვენარი პოეტი უკვე მიჰქ

(* იხ. «ცნობ. ფურც». № 829.

ა პეტერბურგიდან საფოსტო ეტ-
ით სამხრეთისაკენ, ქ. ეკატერი-
ოსლავს. არ ენანებოდა საიმი-
ოდ პეტერბურგი და სანუგეშოდ
ა ჰქონდა, რომ ტანჯული ვარ,
ევნილი იდეისათვისაო. ახალმა
ეროსმა კარგად მიიღო ახალგაზ-
ა პუშკინი, რომელიც მალე ძა-
იან ავად გახდა, დნეპრში ბანა-
ბით გაციებული. აქ გამოიარეს
ად მისმა პეტერბურგელმა ნაც-
ობებმა რაევსკებმა და, ასეთს მდგო-
რეობაში რომ ჰნახეს პოეტი,
ხოვეს მის უფროს, ნება მიეცა
თვის პუშკინის თან წაყვანისა
ვკასიის წყლებზე. უფროსმა ნება
სცა გენერალ რაევსკის და ორის
ვით დათხოვნილი პუშკინი წყ-
ებზე გაჩნდა რაევსკებმა დიდი
მაგი დასდეს ავადმყოფს პოეტს,
რულიად გამოასაღეს, გაართეს
ა ისე შეიტკბეს, როგორც სა-
უთარი შვილი. აქ პირველად ნახა
უშკინმა კავკასიის დიდებული
ნება და ღრმად ჩაიბეჭდა გულში
ურათები ამ ბუნებისა და ჩრდი-
ო კავკასიის მკვიდრთა ცხოვრე-
სა. მაგრამ ჯერ მყინვარის და
ერგის ნახვა შორს იყო. მაინც
დილო კავკასიამაც დიდად იმოქ-
და იმის ჩვილსა და ნაზს ბუ-
ბაზე და აი ჩაესახა გულში აზრი
ისის პოემის „კავკასიის ტყვის“
წერისა. ეკატერინოსლავში ხან-
კლე ცხოვრებამ მხოლოდ ერ-
ერთი სუჟეტი მისცა და დაა-
რინა პოემა „ძმანი ავაზაკნი“.
რაევსკება მალე ყირიმს წავიდ-
ნ, საცა ზაფხულს ატარებდა გე-
ოლის მეუღლე და მისი ორი
ვროსი ქალი. ყირიმის მდიდარ-
ბუნებამ და ზღვის ნახვამ აღ-
ცებაში მოიყვანა პოეტი. დი-
ს სიამოვნებით იგონებს ამ დროს
შკინი თავის წერილებში. მშვე-
ერი ბუნება, მუდამ ლურჯი ცა
მხრეთისა, თვალ-გადუწვდენელი
ვა, ქარვასავით ყვითელი ყურ-
ნი და ეს ყოვლად კეთილი სახ-
ობა რაევსკისა — მეტი რაღა უნ-
ადამიანსაო. აქ დაათვალიერა
ბაღჩისარაი, მოისმინა მის შე-
ები ლეგენდა და ამ გვარად გა-
და და დაიბადა პოემა „ბაღჩისა-
აის შადრევანი“, რომელმაც
ვკასიის ტყვესთან“ ერთად უფ-
მეტად გაუთქვა სახელი. წე-
ს გარდა, პუშკინმა დაუწყო
რეკა რაევსკის ბიბლიოთეკას ყი-
მში, იპოვა იქ ვოლტერისა და
რონის თხზულებანი და გულ-
დგინედ მიეცა მათს შესწავლას.
გლისური ენა სავსებით გაიგე
თა და სულითა და გულით მიე-
ბაირონის პოეზიის გავლენას.
ირე ხნის შემდეგ, როცა ყირი-
დან სამსახურს დაუბრუნდა, კი-
გუბერნიაში შეემთხვა ყოფნა
ქ გაიცნო მთელი გუნდი ახალ-

გაზდა განათლებულ კაცთა, რომელნიც ბაირონით იყვნენ გატაცებულნი. ამ გუნდმა და მისმა გავლენამ ღრმა კვალი დასტოვა პოეტის გონებაში. ბაირონის მიმართულება აქ შეითვისა უფრო და ეგ მიმართულება კარგა დიდხანსაც შეირჩინა. ეს ცხადად დაეტყო ყოველ იმ ნაწერს, რომელიც კი შეჰქმნა პუშკინმა სამხრეთად ყოფნის დროს, ესე იგი 1820—1824 წლამდე. ასეთი ნაწერებია: კავკასიის ტყვე, ანუ როგორც ძველად უთარგმნიათ ჩვენში „კავკასიის პატიმარი“, „ბაღჩისარაის შადრევანი“, „ბოშები“ და ბევრი სხვა წვრილი ლექსები. „ევგენი ონეგინის“ პირველი ორისამი კარი ბაირონის გავლენით არის დაწერილი ბესარაბიაში, საცა პუშკინი მალე გადავიდა თავის უფროსთან ერთად.

კიშინიოვში, რომელიც ბესარაბიის უმთავრესი ქალაქია, თითქმის სამი წელიწადი დაჰყო პუშკინმა და ძრიელაც მოსწონდა ეს უსუფთაო, აღმოსავლეთის ხასიათის ქალაქი, რომელიც ათასის მილეთის ხალხით იყო სავსე. პუშკინი თავ-დავიწყებით მიეცა აქ ყოველგვარ გართობასა: თამაშობდა ქაღალდს, ეტრფოდა ქალებს და ატარებდა დროს სმასა და ქეიფში. მისმა მახვილმა ენამ, მწარე ოხუნჯობამ და გესლიანმა, მწვავე ეპიგრამებმა აქაც მსწრაფლად აუჩინა მტრები. პუშკინს აქ რამდენიმე დუელი ჰქონდა სულ უბრალო მიზეზის გამო.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

## ცნობა ჯანმრთელობისათვის

**რა დროს უნდა დაწვეთ ან ადგეთ, რომ დიდხანს იცოცხლოთ?**

(მაგალითი სამის გამოჩენილი კაცის ცხოვრებიდან).

თავად ბისმარკს მუდამ ერჩივნა მუშაობა ღამ-ღამეობით და ამიტომ ყოველთვის ღამეებს ტეხავდა და არ ეძინა. მართალია ბისმარკმა დიდხანს იცოცხლა, მაგრამ ამის მიზეზი უფრო მისი გამოჩენილი ექიმები არიან, რომელნიც მართლა და საოცარის სიფხიზლით უვლიდნენ „რკინის კანცლერს“.

პაპი ლეო მე-XIII წვება ძრიელ ადრე და ყოველთვის დგება ხოლმე დილის 6 საათზე და ამიტომ უფრო ჯანმრთელია და შენახული ვიდრე ბისმარკი. პაპი ახლა თითქმის თოხმოცდაათის წლისაა, მაგრამ ეხლახან აიტანა სამანელი ოპერაცია და დღესაც ყოჩაღად არის და მუდამ საქმობს ხოლმე.

გლადსტონი ყველაზე უფრო ახოვანი, ძლიერი და შემძლე ხორციელად თუ გონებრივ რა თქმა უნდა ცხონებული გლადსტონი იყო, რომელიც გარდაცვლილა 93 წლისა. გლადსტონი წვებოდა ხოლმე ნაშუადამევს და დგებოდა დილის 8 საათზე. განსვენებული სიკვდილის კარამდე ადსავსე იყო ჭაბუკურის აღტაცებულის რწმენით და სიცოცხლით.

## სამეურნეო ცნობა

**მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)**

(შემდეგი *)

გაზეთ ცნობის ფურცელში მე 738 ნომერში, მქონდა მოკლედ აღწერილი ვარდების მოვლა მოშენებაზედ, ახლა დავასახელებ ფრანგულიდამ გადმოთარგმნილ ვარდების სახელებს, წელიწადი მოშენებისა, მომშენებლების სახელები და მათი ჩამომავლობა.

საუკეთესო ვარდებათ ითვლებიან:

**ყვითელი ჩაის ვარდები ათი.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მარშან ნილ. | 1864 | პრადელ. | საფრ. |
| 2 | პერლ დეჯარდენ. | 1874 | ლევე. | — |
| 3 | მადამ ევგენიე ვერდიე. | 1882 | -- | — |
| 4 | ეტოალ დელიონ. | 1881 | გილიოსინ | — |
| 5 | ბელ ნიონნეზ. | 1867 | ლევე. | — |
| 6 | სენზეტ. | 1885 | გენდერსონ. | ამერ. |
| 7 | პერლ-დელიონ. | 1872 | დიუშე. | საფრ. |
| 8 | ბოტე დე-ლიერონ. | 1881 | გიუნო, | — |
| 9 | მადამ ფალკო. | 1858 | გილიო-სინ. | — |
| 10 | გლოარ დედიჯონ. | 1853 | ჯაკოტოსინ. | — |

**თეთრი ჩაის ვარდები ათი.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნეფიტოს. | 1843 | ბუჯერ. | საფრ. |
| 2 | ველ. გერცოგინია მატილდა. | 1869 | ფოგლერ. | გერ. |
| 3 | მადამ ბრავი. | 1884 | გილიო. | საფრ. |
| 4 | ეტარდარ-დე ჯანდარკ. | 1884 | გარსონ. | — |
| 5 | მარი გიუო. | 1869 | გილიო-სინ. | — |
| 6 | სომბრელ. | 1650 | რობერტ. | — |
| 7 | დეონიენზის. | 1838 | ფორსტერ. | ინგლ |
| 8 | მელიანი ვილიარმოა. | 1849 | ლამარმ. | საფრ. |
| 9 | მილიანი რუპერტ. | 1881 | ნაბონნანდ | — |
| 10 | ტე ბრეიდ. | 1886 | მაი, | ამერ. |

**ყვაოილი ჩაის ვარდები (СЪ РОЗОВЫМЪ ОТТѢНКОМЪ) ათი.**

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მადამ ბერარ. | 1871 | ლევე | საფრ. |
| 2 | მარი ვან გუტ. | 1871 | დიუშე. | — |
| 3 | გლოარ დე ბიჯონ. | 1853 | ჯაკელო-სინ. | — |
| 4 | ფრანცისკა კრიუგერ. | 1880 | ნაბონნანდ. | — |
| 5 | ადრიენნ ხრისტოფლ. | 1868 | გილიო-სინ. | — |
| 6 | კონ დე სანბუი | 1874 | ქვრივი დიუშე | — |
| 7 | ბოტე დე ეროპ | 1881 | გუნო. | — |
| | გომერ. | 1858 | რობერტ. | — |
| 8 | სუვენირ დე | | | |
| 9 | პოლ ნერონ. | 1881 | ლევე. | — |
| 10 | სუვენირ დე ვიკტორ გიუგო. | 1886 | ბონნერ. | — |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

— სიცოცხლე იქ არ არის, სადაც არ სუფევს სიყვარული მოყვასისადმი.

— ადამიანი რაც უფრო ჭკვიანია, მით უფრო სწამს და პატივსა სცემს სარწმუნოებას; მისი გონება აერთიანდება ხოლმე ღვთის სიყვარულით.

— ქრისტიანობის დაწყებიდან იწყება, რომ ადამიანი შეიქმნა პირველი და უმთავრესი არსება.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

22 მაისი.

**პარიზი.** პალატა. კრების განახლებისას დიუპუიმა სთქვა: „გუშინ ოტელში რეაქციონერთა დასის ავანგარდმა ჩემს წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა და მოითხოვა ჩემის სამსახურიდგან გადაღგომა მაღალის საზოგადოების და კეთილშობილობის წარმომდგენელთ ჩაიდინეს ის, რაც იმათ სიზარმაცისა და უქმად ყოფისაგან მოსალოდნელი იყო“ (ტაშის ცემაა). შემდეგ დიუპუიმ განაცხადა, რომ დაპატიმრებულნი სამართალში იქმნებიან მიცემულნიო. უმთავრესი მანიფესტანტები კლუბის წევრები იყვნენ. მთავრობა გააუქმებს ამ კლუბსაო. შემდეგ ილაპარაკა კასსანიაკმა. კასსანიაკმა სთქვა, რომ რესპუბლიკა მოსწყინდა საფრანგეთსაო. რაც შეეხება დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად განხილვას, ეს განხილვა მძიმე ტვირთად დაგაწვებათ თქვენ. ლაპარაკობენ იმ ზომების შესახებ, რომელიც აზრად აქვთ გენერლების წინააღმდეგ მიიღონ, იმ გენერლებისა, რომელნიც წინად თქვენი ამხანაგები იყვნენ. საფრანგეთი აღელვდა, როდესაც გალლიენი და მარშანი დაინახა: ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ხალხი კაცს ეძებს. პალატამ ფორმულაში ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

26 მაისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიაში დაარსებულ იქმნას პუშკინის სახელობის განსაკუთრებული განყოფილება სიტყვიერებისა და პუშკინის სახელის განსაკუთრებული ფონდი. პუშკინის ფონდის დანიშნულება იქნება რუსთა მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა. ამ ფონდის შესადგენად ყოველ წელიწადს გადადებული იქმნება ხაზინიდგან 50,000 მანეთი

**პეტერბურგი.** 26 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, პეტერბურგის კონსერვატორიის დარბაზში მოხდა საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის სადღესასწაულო კრება, უზარმაზარი დარბაზი ავსებული იყო რჩეულის საზოგადო-

ებით. დაესწრნენ: დიდი მთავრები, მთავრინები, მინისტრები, და წარჩინებული კაცები. კრების დაწყებამდე დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ წაიკითხა ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა:

„თუმცა ვერ ვესწრები აკადემიის სადღესასწაულო კრებას, რომელიც მოწვეულია დიდებულის პუშკინის დაბადების დღიდგან ასის წლის გასვლის პატივსაცემლად, მაგრამ მე გულითა და სულით მონაწილეობას ვიღებ დღესასწაულში, რომელიც, ამ შესანიშნავს დღეს, აერთებს მთელ რუსეთს.

„ნიკოლოოზი“

დეპეშის წაკითხვის შემდეგ გაისმა დარბაზში აღტაცებული „ურა“ როცა შესწყდა ყვირილი, დიდმა მთავარმა წაიკითხა ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ. შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა. დიდის მთავრის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს აკადემიკოსმა ვესელოვსკიმ („ა. ს. პუშკინი—საერო პოეტი.“) და აკადემიის წევრმა კონიმ („ზნეობრივი და საზოგადოებრივი შეხედულებანი ა. ს. პუშკინისა“). სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დიდმა მთავარმა წაიკითხა მთავრის ნიკოლოოზ ჩერნოგორელის დეპეშა. ამ დეპეშის შემდეგ მისმა უმაღლესობამ წაიკითხა მილოცვანი. აქტი დასრულდა საიმპერატორო ოპერის არტისტების სიმღერით და გლაზუნოვის მუსიკით.

**ლონდონი.** „Times“-ს პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ: „ბრიტანიის ელჩმა პეკინში შეატყობინა ჯუნგ-ლი-იამენს, რომ პეკინის სინდიკატს განზრახვა აქვს გაიყვანოს რამდენიმე რკინის გზა შანსის პროვინციაში, გარდა მდ. იანცზის ადგილებისა, ნანკინის პირდაპირ. ამ უკანასკნელ გეგმისა ცუნგ-ლი-იამენს განზრახვა აქვს წინააღმდეგობა განაცხადოს“.

**პარიზი.** ტყუილია, ვითომ ორლეანის ჰერცოგი პარიზში იმყოფებოდეს.

დიუპუიმ დღეს მიიღო სენატის და პალატის რესპუბლიკელ ჯგუფთა დელეგატები. პოლიტიკურის მდგომარეობის შესახებ მოლაპარაკების შემდეგ დელეგატებმა და დიუპუიმ აღიარეს, რომ საქმეთა ვითარება მოითხოვს განსაკუთრებულს სიფხიზლეს. დიუპუიმ დაარწმუნა დელეგატები, რომ მთავრობა რესპუბლიკის ინტერესებით ხელმძღვანელობს.

**პარიზი.** სენატი. პრეზიდენტმა ფალიერმა სთქვა, რომ ოტეილში მომხდარ უწესოების გამო ვერაფერი ვერ შეარყევს ნდობას რესპუბლიკის მიმართ; ამასთან პრეზიდენტს ლუბეს სენატი სრული ნდობით უცქერისო. (აღტაცებული ტაშის ცემაა) გიუიომ ოთხის რესპუბლიკელ ჯგუფის სახელით მოითხოვა შემდეგის განაჩენის შეწყნარება: „სენატი, უერთდება-რა იმ გრძნობს, რომელნიც გამოსთქვა პრეზიდენტმა ოტეილში ჩადენილ შეუწყნარებელ საქციელის საგმობლად, დაუბრუნდა მორიგ საქმეებს“. კონსერვატორმა ლეკურ-გრანმეზონმა სთქვა, რომ პოლიცია სასტიკად მოექცა ხალხსაო და წინააღმდეგობა გამოაცხადა იმ კაცთა დატუსაღებისა, რომელნიც ჰყვიროდნენ: ჯარს გაუმარჯოსო. ორატორი დასძენს, ლუბეს არჩევა სახიფათო გამოდგაო (ხმაურობაა). ორატორმა სთქვა, ჩემს სიტყვებს არ უარ-ვყოფო—ჩამოვიდა ტრიბუნიდან. მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ცენზურამ. დიუპუი შეუერთდა გიუიოს წინადადებას და დასძინა, რომ ისინი რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ყვირილი: „ჯარს გაუმარჯოს“ დაგმობილ იქმნაო, ტყუილს ამბობენ. უსაფუძლოა ის აზრიც, ვითომც პოლიცია უკმეხად და სასტიკად მოჰქცეოდესო. ჯარი რესპუბლიკის ერთგულია და მოახერხებს მის დაცვას (ტაშის ცემაა). გიუიოს წინადადება შეწყნარებულ იქმნა 280 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 20-ისა და გაისმა ძახილი: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“.

**პარიზი.** მოკონში ქვა-ნახშირის მუშათა გაფიცვა საზოგადო შეიქნა. მაღაროები დაცარიელდა. ჯარი მოიწვიეს.

**კოპენჰაგენი.** ისლანდიის ჩრდილოეთ ნაპირზედ ნახულ წერილში, რომელიც ანდრეს დაუგდია, აღმოუჩენიათ პატარა რუქა, რომელშიაც აღნიშნული ყოფილა ანდრეს ჰაერ-ოსტატის მიმართულება. დეპეშა შვედურ ენაზედ ყოფილა დაწერილი.

**სპ. ბური.** დილის ცხრა საათზედ მონასტრის ეკლესიაში დაიწყო წირვა. დაესწრნენ პოეტის ნათესავნი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წარმომადგენელნი ჟურნალ-გაზეთებისა და სხვანი. წირვის შემდეგ პოეტის საფლავზედ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. 2 საათზედ დროებით მოწყობილ თეატრში კრება იქმნა გამართული. ბევრმა სიტყვა წარმოსთქვა. საერო განათლების მინისტრის მინდობილებით კოვალევსკიმ გადასცა პოეტის შვილს ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პუშკინს რუმიანცევის მუზეის საპატიო წევრის დიპლომი. შემდეგ დეპუტაციებმა გვირგვინები დააწყეს პოეტის ბიუსტთან. ზოგმა სიტყვა წარმოსთქვა. წაკითხულ იქმნა სხვა და სხვა ადგილიდგან მოსული დეპეშები.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ ბუშიხში 2 კაცი გახდა ავადაო.

**პარიზი.** მთავრობა დღეს მოითხოვს, რომ პალატამ განაგრძოს განხილვა იმ საგნისა, რომელიც რიგით არის აღძრული. მართლდება ის ხმა, რომ გრაფი კრისტიანი სამშაბათს სასამართლოს წინაშე წარსდგება. ზოგიერთი სხვა ბრალდებულიც იქმნება სამართალში მიცემული.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა, საჩივარი აღძრას «Eecho de Peuple» წინაშე ვუშინდელის წერილის გამო, რომელშიაც — ჯარის კაცებს ურჩევდა, მთავრობას ნუ დაემორჩილებითო.

«Eeclo de Padis» ამბობს, რომ გენერალ პელიეს დიუშანმა უკვე ჩვენება ჩამოართვა. პელიემ თავის გამამართლებელი საბუთები წარუდგინა. გამოძიება ჩქარა სწარმოებს.

## რედაქციისაგან

—

**აბაშაში** კიკინობელს. თქვენი წერილი ვიღაც ლატარიას გამ-მ ართველ ქალზე ვერ იბეჭდება.

**აბაშაში** აბაშელ ფოტოგრაფს თქვენი საპასუხო წერილი, ვითარცა საბუთს მოკლებული, ვერ იბეჭდება


# განცხადებანი

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

для самообразованія

ТРЕТІЙ Г. ИЗД. **МІРЪ БОЖІЙ** ТРЕТІЙ Г. ИЗД.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Верхницкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артурса путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разк. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Бранлта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть Ш. П. Милюкова. «Александръ 1 и его время»,А. Прѣсякова: «А. С. Пушкинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В. Фриче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживицкаго; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на годъ 8 руб. о вѣ

Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »

За границу на годъ . . . , . . . 10 »

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | по третямъ года: |
| --- | --- |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; |
| За границу . . . 5 р | въ январѣ . , . 3 р. |
| Безъ доставки по соглашенію конторой | » маѣ . . . 3 р. |
| | » сентябрѣ . . . 2 р. |
| | За границу: въ январѣ . 4 |
| | » » » маѣ . . 3 |
| | » » » сентябрѣ . 3 |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. И. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Мая 1899 г. სტ. „ჩრ. ფურც.“) გ. ჭყონისა), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნი